პროექტით გათვალისწინებულია შვიდსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის (-1 პარკინგის სართულით) მშენებლობა.

შენობა გეგმაში Г-ს მაგვარი კონფიგურაციისაა, რაც შეეხება საძირკველს, მისი ჩაღრმავება 2.7 მ-ს შეადგენს, კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით - II.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე გაყვანილია 3 ჭაბურღილი, რომელთა საერთო სიგრძემ 29 გრძ./მ შეადგინა, ბურღვა მიმდინარეობდა საბუღღი დანადგარის УГБ 50 ВС-ის გამოყენებით, მშრალად, მექანიკურ-სვეტური მეთოდით, 108 მმ დიამეტრის ბუღღით. სამთო გამონამუშევრებიდან აღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტები (ს.გ.ე.):

ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა ღორღის, აგურის და ბეტონის ნამტვრევების ჩანართებით;

ს.გ.ე. I - თიხნარი, ნახევრად მყარი, ხვინჭის ჩანართებით 10-15%-მდე.

ანგარიშში ვრცლად არის მოცემულია საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგური, ჰიდროგეოლოგიური, კლიმატური პირობები და გრუნტების საინჟინრო მაჩვენებლები. ჩატარებული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ კონსტრუქციის ფუძე - გრუნტს წარმოადგენს ს.გ.ე. I - თიხნარი, ნახევრად მყარი, ხვინჭის ჩანართებით 10-15%-მდე, რომლის პირობითი წინაღობაა R_0=2კგ/სმ^2. ობიექტზე გამოკვლეულ სიღრმემდე გრუნტის წყალი არ გამოვლინდა. რაიმე საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საცხოვრებელი კორპუსის ექსპლოატაციას, მოსალოდნელი არ არის.

დ ა ს კ ვ ნ ა:

(ს/კ 01.14.08.003.037) ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ბაგებში, წყნეთის გზატკეცილი II, გასასვლელი №10-ში შვიდსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის (-1 პარკინგის სართულით) მშენებლობასთან დაკავშირებით“ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლო წესები და ნორმები) მოთხოვნათა შესაბამისად - ს.ნ. და წ. 1.02.07-87(საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისთვის), პ.ნ. 02.01-08(შენობა-ნაგებობების ფუძეები), პ.ნ. 01.01.09 (სეისმომედეგი მშენებლობა) ს.ნ. და წ. IV-5-82(მიწის სამუშაოები) ს.ნ.და წ. 3.02.01-87(მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები), პნ 01.05-08 (სამშენებლო კლიმატოლოგია), ს.ნ და წ. 2.03.11-85(სამშენებლო კონსტრუქციების კოროზიისგან დაცვა).

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი: /გ. ჯოხონელიძე/

ექსპერტობის კანდიდატის სარეგისტრაციო ფორმა

გვარი, სახელი	გუგა ჭოხონელიძე
პირადი №	01018003657
საცხოვრებლის მისამართი	ქ. თბილისი, კეკელიძის ქ. N 10, ბ. 25
საკონტაქტო ტელეფონი	
ელ-ფოსტა	
საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული ობიექტის დასახელება და მისამართი	შპს „ტექტონი“-ის (ს/კ 404507217) მიერ წარმოდგენილი ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთის გზატკეცილი II, გასასვლელი N10-ში შვიდსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი (-1 პარკინგის სართულით).
საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული სახეობა	მშენებლობის პროექტების ნაწილების საექსპერტო შეფასება
საექსპერტო შეფასებას დაქვემდებარებული მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების ნაწილები	საინჟინრო-გეოლოგიური ნაწილის საექსპერტო შეფასება
შემათანხმებელ ორგანოში წარსადგენი დოკუმენტები	ა) პირადობის მოწმობის ასლი;
	ბ) პირადი ინფორმაცია (CV);
	გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომი, სერტიფიკატები);
	დ) ინფორმაცია სამუშაო გამოცდილების შესახებ;
	ე) დადასტურებული/დამოწმებული ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შესახებ, ობიექტის დასახელების და მისამართის მითითებით;
	ვ) ექსპერტობის კანდიდატის დეკლარაცია, მოწოდებული ინფორმაციის სისწორის შესახებ.
ხელმოწერა	
თარიღი	14.06.2018

ДИПЛОМ
ДОКТОРА НАУК

МТН № 007499

Москва 23 декабря 1975 г.

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 28 ноября 1975 г. (протокол N 18)

Чохонелидзе Гуге Ильичу

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей Аттестационной Комиссии

-5-